საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-220

19/02/2021

ქ. თბილისი

„შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 5450 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავზე (230 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 20 იანვრის №2-86 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ დირექტორის 2020 წლის 29 დეკემბრის მომართვის საფუძველზე და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად გაცემული იქნა №2-59 (15/01/2021) და №2-86 (20/01/2021) ბრძანებები ერთიდაიგივე შინაარსით. შესაბამისად, საჭიროა გაუქმდეს №2-86 (20/01/2021) ბრძანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 5450 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავზე (230 000 მ³ წლიური ტვირთბრუნვით) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 20 იანვრის № 2-86 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი